DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Silogava, V. / სილოგავა, ვ. /
- Title: თარიღის აღმნიშვნმელი წარწერა გარეჯის მრავალწყაროდან
- Publication Date: 1998
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences, Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_e84bcf1fad

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

5080

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 158, №1, 1998
BULLETIN OF THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES, 158, №1, 1998

ეპიგრაფიკა

ვ. სილოგავა

თარიღის აღმნიშვნელი წარწერა გარეჯის მრავალწყაროდან

წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზ. ალექსიძემ 11.08.1998

1995 წლის ზაფხულში არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდმა "უდაბნო" გარეჯის მრავალმთის ჩრდილო-დასავლეთის რაიონში მიაკვლია უცნობ სამონასტრო კომპლექსს მრავალწყაროს. დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა მიწით ამოვსებული ან ნაწილობრივ მიწით დაფარული ძალზე დაზიანებული 6 გამოქვაბული და 5 კლდეში გამოკვეთილი ეკლესია. შედარებით უკეთესადაა შემონახული კომპლექსის უკიდურეს აღმ. ნაწილში მდებარე მცირე ზომის დარბაზული ეკლესია (ზომა: 325X170 სმ, სიმაღლე-285 სმ). მის სამ კედელზე (სამხ. კედლის გამოკლებით) შერჩენილია ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები და შელესილობაზე ამოკაწრული ადრეული ხანის (IX-XIII სს.) მრავალრიცხოვანი ნაკაწრი წარწერები-გრაფიტოები (მათი საერთო რაოდენობა 50-ს აღემატება)[1]; ასევე, ადამიანთა, ცხოველთა, ისრისპირთა, შუბებისა და სხვადასხვა გეომეტრიულ ფიგურათა გრაფიკული გამოსახულებანი. საღებავით შესრულებული ასომთავრული და ნუსხური წარწერების ფრაგმენტები, ერთ-ორ ადგილას ტექსტის მოზრდილი (5 და მეტსტრიქონიანი) ნაწყვეტები შერჩენილია ეკლესიის ფრესკულ მხატვრობაზეც; X ს. ორსტრიქონიანი მხედრული წარწერა მოიპოვება ჩრდილოეთის კედლის ნიშაში და სხვ.

22760

1996-1998 წწ. ჩატარდა ამ წარწერების ფიქსაცია და შესწავლა. ნაკაწრ წარწერებს შორის ერთი აღმოჩნდა თარიღის აღმნიშვნელი. მასში წარმოდგენილი თარიღით — 851 წლის 8 სექტემბერი, ეს წარწერა უძველესია არა მარტო გარეჯის მრავალწყაროს, არამედ საერთოდ გარეჯის ამჟამად ცნობილ 20-ზე მეტი სამონასტრო კომპლექსის წარწერებს შორის. უფრო მეტიც, ექვსი სახეობის ქართული წარწერებიდან (ლაპიდარული, მოზაიკური, ფრესკული, ჰედური, ნაქარგი, ნაკაწრი) იგი უძველესი თარიღიანი ასომთავრული ნაკაწრი წარწერაა და

[1] წარწერების შესწავლის წინასწარი შედეგების შესახებ მოხსენება გავაკეთე კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარზე 1996 წლის 19 დეკემბერს. ახალაღმოჩენილი სამონასტრო კომპლექსი მაშინ ჯერ კიდევ იმდენად შეუსწავლელი იყო, რომ მას პირობით "თეთრ სენაკებს" უწოდებდნენ [1, გვ. 42, 43; 2, გვ. 41, 43]. მოგვიანებით, ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში დაცული ცნობის მიხედვით [3, გვ.333], მას მრავალწყარო ეწოდა [4, გვ.2-3]. წარწერებზე სხვებმაც დაიწყეს წინასწარი, ნაჩქარევი და მცდარი ცნობების გამოქვეყნება. მაგ., ერთ საზღვარგარეთულ პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ეკლესიის კედლების შელესილობაზე ამოკაწრული დახვეწილი გრაფიკის 10-ზე მეტი ქართული ანბანი, ანუ აბეცედარი შესრულებულია წერა-კითხვის ცუდად მცოდნე გლეხებისა და ბერების მიერ წერა-კითხვის შესწავლის მიზნით [5, გვ.1], ხოლო მეორეგან აღნიშნულია, რომ თითქოს, ეკლესიაში მოიპოვება "სავედრებელი წარწერა კაწარელი ქორეპისკოპოსის პავლეს მოხსენიებით" [6, გვ.41]. სინამდვილეში, ესაა ხარიტონ კაწარელი ეპისკოპოსის მოსახსენიებელი წარწერა პეტრე-პავლობა დღეს XII ს-ისა და სხვ.

ამასთანავე, ერთ-ერთი უძველესი ქართული თარიღიანი წარწერაც.

წარწერის არქეოგრაფიული აღწერა-დახასიათება ასეთია:

ასომთავრული; 5 სტრიქონი; ამოკაწრული მსხვილი და წვრილი ხაზების მონაცვლეობით, დაბალი და მსხვილი ასოებით, თხელი, მაგრამ მკაფიო კვეთით ეკლესიის დასავლეთ კედელზე, აქ გამოყვანილი ნიშის შიდა (მცირე) თაღის გარეთა (აღმოსავლეთის) კიდეზთან, თაღის მარტივი, ამჟამად მონგრეული კაპიტელის ქვემოთ[2]. წარწერას უჭირავს ფართობი: 13X6 სმ. ასოების სიმაღლე: 1,5-2-2,5 სმ. წარწერას აკლია დასაწყისი — თაღის კაპიტელის შელესილობა, შემორჩენილი ტექსტის კიდის ზემოთ, დაახლოებით ორი სტრიქონის ზომაზე, ჩამოშლილია და მას ნაკლული ასოებიც გაჰყოლია. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: განივი, სწორი ხაზი (მე-2 და მე-3 სტრიქონებში დასმული მთელი სტრიქონის სიგანეზე).

წარწერის ტექსტი ასეთია:



[+ქრ]
[ონ ს̄Ც]
ᲝᲪ
ს̄ᲧᲨ [ქრ(ონი)კ|(ო)ნსა]|ოა, ს(ე)კდ(ე)ნბ(ე)რსა Შ.
ᲗᲜᲧ
ᲯᲜᲪ
Ჩ

ოა-ზე არც ძველ [9] და არც თანამედროვე ქართულში [10] არცერთი სიტყვა არ მთავრდება. წარწერაში, მის გაგრძელებაზე შემორჩენილი ტექსტის კონტექსტიდან გამომდინარე (თვის და რიცხვის დასახელება), აქ წლის რიცხვის აღმნიშვნელი ასოები უნდა ვიგულისხმოთ. რადგან მის ზემოთ შელესილობა ჩამოშლილია 2 ან 3-ასოიანი ორი სტრიქონის ზომაზე, ხოლო უფრო ზემოთ წარწერა არც იყო, ნაკლულ ნაწილებში უნდა აღდგეს წელთაღრიცხვის აღმნიშვნელი ტერმინი "ქრონიკონსა". ჩვეულებრივ, იგი ქარაგმდებოდა ქ კნსა, ქ რკნსა ან ქ კსა ფორმით [11, გვ.109,168,172,207,264,270,308; 12, გვ. 350, II გამოც. გვ. 409], რაც ჩამოშლილ ორ სტრიქონზე თავისუფლად დაეტეოდა. მაშასადამე, წარწერას დასაწყისში აკლია ერთი სიტყვა "ქრონიკონსა", ხოლო მთლიანად ტექსტი ზემოწარმოდგენილი სახით გაიმართება.

ქრონიკონი ოა, ე. ი. 71, ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადმოყვანით უდრის 851 წელს (780+71); მაშასადამე, წარწერა აღნიშნავს თარიღს — 851 წლის 8 სექ-

[2] ეკლესიის თაღის კაპიტელზე წარწერის ტექსტის დაწყება სხვაგანაც გვხვდება; იხ. X ს. ორი წარწერა ჩვაბიანის (ზემო სვანეთი) მაცხოვრის ეკლესიაში [7] და XII ს. 10-იანი წლების წარწერა ალავერდის ტაძრის საკურთხეველში [8].

ტემბერი.

წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები IX ს. თარიღიანი ქართული ხელნაწერებისა და ლაპიდარული და ფრესკული წარწერების პალეოგრაფიული ნიშნების იდენტურია. ესენია: 864 წლის ხელნაწერი სინური მრავალთავი [12, ტაბ. 6,7; II გამოც. ტაბ. 11, 12; 13, ტაბ. 4-10], 897 წლის ხელნაწერი ადიშის ოთხთავი [12, ტაბ. 8; II გამოცხ. 13]; 864 წლის საამშენებლო ლაპიდარული რელიეფური წარწერა ქსნის ხეობის ს.არმაზის ეკლესიაზე [14, ტაბ. 2, 1; 11, ტაბ. 61, 2]; გუარამავრ დედოფლის 837 წლის ფრესკული ეპიტაფია ატენის სიონის საკურთხევლის სამხრეთის კალთაზე [15, გვ.91], 853 წლის ფრესკული წარწერა ბუღა თურქის შემოსევის შესახებ ატენის სიონის სამხრეთის აფსიდის დასავლეთის კალთაზე [15, გვ.132], 885 წლის მამფალ სუმბატ ამოტის ძის ფრესკული ეპიტაფია ატენის სიონის ბემის სამხრეთის კალთაზე [15, გვ.93]; სულა ჯაფარის ძის 895 წლის წარწერა ხუნამისის ქვაჯვარის ბაზისზე[11, გვ.109, ტაბ.22] და სხვ.

წარწერის ტექსტში წარმოდგენილი 10 გრაფემიდან (წარწერაში სულ 12 გრაფემაა, აქედან **ანი** და **სანი**-ორ-ორჯერ) განსაკუთრებული არქაულობით გამოირჩევა **ონი**. შემსრულებელს იგი გამოუყვანია ხელის ორი მოსმით - მარცხენა და მარჯვენა რკალების ზემოდან ქვემოთ მოხაზვით. ამის გამო, ასოს წრე ქვემოთ შეუკრავია, ოდნავ გახსნილია. საგანგებო ყურადღებას იქცევს **ონის** გადმოცემა ჭუსლის გარეშე. აკად. გ. წერეთლის ვარაუდით, თავდაპირველად **ონი** სწორედ ასეთი, უჭუსლო მოხაზულობისა იყო, ხოლო მარყუჟი მას შემდგომ გაუჩნდა [16, გვ.45,49]. ასეთი მოხაზულობის **ონი** დასტურდება ე. წ. საჰაკდუხტის წარწერაში რაჭის ს.ჯვარისაში აღმოჩენილ ხატის ბუდეზე [17, გვ.206-208, სურ. I-III; 18, გვ. 191, სურ. 201; 25, ფოტო 5; 16, ტაბ. XV], როგორც ამას გ. წერეთელიც აღნიშნავს.

ამ ძეგლს მკვლევარები სხვადასხვანაირად ათარიღებენ (შ. ამირანაშვილი-V ს-ით [18,გვ.191], გ. ბოჭორიძე-VI ს-ით [17], გ. ჩუბინაშვილი-1000 წლის ახლო დროით [19]). გ. წერეთლის შენიშვნით, მისმა თარიღმა V ს-ის "აქეთ უნდა გადმოიწიოს (თუმცა, არც ისე გვიან, როგორც ამას გ. ჩუბინაშვილი ფიქრობს)" [16, გვ.41]. წარწერის თარიღი, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, სავსებით შესაძლებელია VII-VIII სს. განისაზღვროს (მასში ხუთეულს Ղ, Ղ, Դ, Ղ, Ղ, ჯერ კიდევ არა აქვს დამატებითი ზედა განივი ხაზი, რომელიც IX ს-დან ჩნდება [11, გვ.28-29]; ამავე დროს, **ლასი** დაბალი ყელითაა გადმოცემული, განივი ხაზი ოდნავაა მოცილებული ასოს მუცელს, რაც VIII ს-ის დასასრულისა და IX ს-ის დასაწყისის პალეოგრაფიული ნიშანია). მრავალწყაროს 851 წლის წარწერის უჭუსლო **ონი**, ერთი მხრივ, დიდ არქაულობას ამჟღავნებს და, მეორე მხრივ, საჰაკდუხტის წარწერის ზედა თარიღსაც განსაზღვრავს.

სიტყვა "სეკდენბერი", როგორც ვხედავთ, ტექსტში გადმოცემულია თანხმოვანთა დისიმილაციით (მბ > ნბ) [20, გვ.70]. ეს სიტყვა გვხვდება IX ს. კიდევ ორ თარიღიან წერილობით ძეგლში: 864 წლის სინურ მრავალთავში [13, გვ. 216] და ატენის სიონის მამფალ სუმბატ ამოტის ძის 885 წლის წარწერაში [15, გვ.93]. აქ იგი დაზიანებული სახითაა ფრაგმენტულად მოღწეული. გამომცემლებს აღუდგენიათ, როგორც "[სექტენ]ბერ[სა]", მაგრამ, ცხადია, რომ IX ს. ორთოგრაფიის გათვალისწინებით უნდა აღდგეს, როგორც "[სეკდენ]ბერ[სა]".

8 სექტემბერი (ძვ. სტ.) ღმრთისმშობლის შობის დღესასწაულია. ამ დღისათვის მხოლოდ იგია შეტანილი X ს-ში იოვანე-ზოსიმეს მიერ შედგენილ პალესტინურ-ქართულ საეკლესიო კალენდარში [21, გვ.89, 324-325]. მართალია, არც ერთ "მრავალთავში" ღმრთისმშობლის შობის ცალკე საკითხავი შეტანილი არ არის, მაგრამ უძველეს, 864 წლის სინურ მრავალთავში ამასთან დაკავშირებით ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: თუესა სეკდენბერსა Ჷ. შობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, შობაჲ, მისისა შობისაჲ წიგნი წაიკითხონ და შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, რომელიცა გინდეს [13, გვ.216]. ერთ-ერთ ასეთ საკითხავად იმავე სინურ მრავალთავში თარიღის მიუთითებლად შეტანილია ნეტარისა პროკლესი, კონსტანტინელ ეპისკოპოსისაჲ, ღმრთისმშობლისათჳს თქმული [13, გვ.40-45]. სრული ბიბლიოგრაფია ღმრთისმშობლის შობის დღესასწაულსა და მის საკითხავთან დაკავშირებით მოყვანილი აქვს ჟ. გარიტს მის მიერ მაღალმეცნიერულ დონეზე სანიმუშოდ გამოცემულ იოვანე-ზოსიმეს კალენდრის კომენტარებში [21, გვ.324-325].

წარწერის ტექსტში მხოლოდ თარიღის გადმოცემა ეკლესიის მშენებლობის დასრულების და მისი კურთხევის ("სატფურების") დროს უნდა გადმოსცემდეს, რასაც ადგილი ჰქონია 8 სექტემბერს, ღმრთისმშობლის შობას. ამის მიხედვით, იქნებ ეს პატარა ეკლესია ღმრთისმშობლის შობის სახელობისა იყო. საერთოდ, იგი ღმრთისმშობლის სახელობისა რომ იყო, ამის მაჩვენებელია ჩვილედი ღმრთისმშობლის მთლიანი ფრესკული გამოსახულების მოთავსება ყველაზე თვალსაჩინო ადგილას - ჩრდილოეთის კედლის ცენტრში, საგანგებო თაღოვანი ნიშის მთელ ფართობზე; ასევე, რამდენიმე წარწერაში შეწყალების შესახებ თხოვნით მიმართვა ღმრთისმშობლისადმი- წმ.დედოფლისადმი და წმ. მარიამისადმი; მართალია, XII ს-საა, მაგრამ, ამასვე ადასტურებს ვრცელი ლოცვა ღმრთისმშობლისადმი, ამოკაწრული ოთხ სტრიქონად ეკლესიის ჩრდილოეთის კედლის თაღზე.

ამ ვარაუდს ისიც უჭერს მხარს, რომ ეკლესიის "სატფურების", ე. ი. კურთხევის [22, გვ.372-373] თარიღის წარწერით აღნიშვნა მიღებული იყო. ამის მაჩვენებელია სამშვილდის ტაძრის 777 წლის საამშენებლო წარწერა[3], სადაც ასეთ დღედ "ენკენიობა", ე. ი. 13 სექტემბერია აღნიშნული ("წელსა გ ლეონ მეფისასა, დღესა ენკენიასა, ყო სატფურებაჲ ვ დღე დიდითა კრებითა") [23, გვ.92; 24, გვ.28][4]. ასევე ტაძრის კურთხევის ("სატფურების") თარიღი უნდა იყოს აღნიშნული კუმურდოს ტაძრის 964 წლის საამშენებლო წარწერაში, იმდენად ზედმიწევნით და კონკრეტულადაა მშენებლობის დამთავრება მითითებული ("ქრონიკონსა რპდ, თუესა მაისსა ა, დღესა შაფათსა, ა მთუარისასა") [25, გვ.41].

მრავალწყაროს წარწერა თუ ეკლესიის მშენებლობის დამთავრების თარიღს აღნიშნავს, მაშინ ეს თარიღი უნდა გავრცელდეს მაშენებელ-ხელოსნის ჩრდილოეთის კედელზე ამოკაწრულ ნუსხურ წარწერაზეც, რომელიც მეტად არქაული პალეოგრაფიული ნიშნებით ხასიათდება, თარიღდება IX ს-ით, ხოლო ასეთი ვარაუდის შემთ-

---

3) ამ წარწერის ბოლო პუბლიკაციაში იგი დათარიღებულია X ს-ის 50-იანი წლებით [11, გვ.231]. მაგრამ, უკანასკნელი გამოკვლევით, როგორც წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებით, ისე ისტორიული მონაცემებით, კვლავ ლ. მუსხელიშვილის თვალსაზრისია მიღებული [26, გვ.234].

4) შდრ. "სეკდენბერსა იგ. სატფური წმიდათა ეკლესიათაჲ, რომელსა ჰრქჳან·ენკენიაჲ" [21, გვ.90].

ხვევაში კონკრეტულად 851 წლით, ან მისი ახლო დროით დათარიღდება.

წარწერა მტკიცედ ათარიღებს გარეჯის მონასტრების მსგავსი ხუროთმოძღვრული ფორმების სხვა დარბაზულ ეკლესიებს პირდაპირ კლდეშივე გამოკვეთილი საკურთხევლის ტრაპეზის ქვით და ჩრდილოეთ კედელში გამოჭრილი ძვალთშესალაგი ან თავის ქალების შესანახი ნიშებით და სათავსებით. მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღემატება, მაგრამ ეს უკვე ცალკე კვლევის საგანია.

წარწერა იმ დროსაა შესრულებული, როდესაც გარეჯში, კერძოდ, ლავრაში წმ. ილარიონ ქართველი (822-875 წწ. [27, გვ.105]) მოღვაწეობდა [28, გვ.39-67]. ამის მიხედვით, ამ ტიპის ეკლესიების მშენებლობა გარეჯში მის მიერ აქ სამონასტრო მოღვაწეობის ახალი, მორიგი ტალღის დაწყებას შეიძლება დაუკავშირდეს და მრავალწყაროს წარწერის კონკრეტული თარიღი ამ მოძრაობის ქრონოლოგიურ ორიენტირად გამოდგეს.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმი

ლიტერატურა

1. *თ.ჯოჯუა, ლ. მირიანაშვილი.* ძეგლის მეგობარი, 1, (92), 1996.
2. *ლ. მირიანაშვილი, თ. ჯოჯუა.* ძეგლის მეგობარი, 3, (94), 1996.
3. *ბატონიშვილი ვახუშტი.* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ, 1973.
4. გარეჯის მრავალმთა და ადამიანი, თბ, 1997.
5. *Antony Eastmond.* Newsletter (The University of Warwick), 223, December, 1997, 1-2.
6. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა. საანგარიშო კრებული. თბ, 1997.
7. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბ, 1988.
8. *ვ. სილოგავა.* მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1992.
9. ილია აბულაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონის" ინვერსიული საძიებელი, თბ, 1979.
10. ინვერსიური ლექსიკონი, თბ, 1967.
11. ქართული წარწერების კორპუსი, I. თბ., 1980.
12. ქართული წერის ნიმუშები, თბ, 1949; მეორე, შევსებული გამოცემა, თბ, 1973.
13. სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ, 1959.
14. *Г. Н. Чубинашвили.* „ქართული ხელოვნება", 1, Тб, 1942.
15. ქართული წარწერების კორპუსი, III, თბ, 1989.
16. *გ. წერეთელი.* უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ, 1960.
17. *გ. ბოჭორიძე.* საქართველოს არქივი, წიგნი III, თბ. 1927.
18. *შ. ამირანაშვილი.* ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ, 1944.
19. *Г. Н. Чубинашвили.* Грузинское чеканное искусство, Альбом. Тб, 1957.
20. *ზ. სარჯველაძე.* ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ, 1975.
21. *G. Garitte.* Le calendrier palestino-géorgien du sinaiticus 34 (Xe s.), Bruxelles, 1958.
22. *ილ. აბულაძე.* ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ, 1973.
23. *ლ. მუსხელიშვილი.* "ენიმკის მოამბე", XIII, თბ, 1943.
24. *Н. Чубинашвили.* Самшвилдский Сион, Тб, 1963.
25. *ვ. სილოგავა.* კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ, 1994.
26. *ზ. ალექსიძე.* მრავალთავი, XVI, თბ, 1991.
27. *მ. დოლაქიძე.* ილარიონ ქართველი, ქსე, 5, თბ, 1980.
28. *კ. კეკელიძე.* ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1, 1920; იგივე, მისი, ეტიუდები..., ტ. IV, თბ, 1957.